




ევროპის უნივერსიტეტის
სამართლის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტის დებულება

2018

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. ინსტიტუტის საქმიანობის მიზნები და ამოცანები.....	3
მუხლი 3. ინსტიტუტის საქმიანობის ფორმები.....	4
მუხლი 4. ინსტიტუტის სტრუქტურა.....	5
მუხლის 6. ინსტიტუტის დაფინანსება.....	6
მუხლი 7. სხვა დებულებები.....	7





მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში - ინსტიტუტი) წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად;
- 1.2. ინსტიტუტი თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
- 1.3. ინსტიტუტი უფლებამოსილია საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები, დადოს ხელშეკრულებები, კანონმდებლობის თანახმად დააფუძნოს ფილიალები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში და არბიტრაჟში;
- 1.4. ინსტიტუტს გააჩნია საანგარიშსწორებო საბანკო ანგარიში, როგორც უცხოურ, ასევე ეროვნულ ვალუტაში, საკუთარი ემბლემა, ბეჭედი და იურიდიული მისამართი.

მუხლი 2. ინსტიტუტის საქმიანობის მიზნები და ამოცანები

ინსტიტუტის საქმიანობის მიზნები და ამოცანები:

- 2.1. სამართლის მიმართულებით ახალი ცოდნის გენერირების და ფუნდამენტური კვლევებისათვის ხელის შეწყობა;
- 2.2. უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან (შემდგომში - ფაკულტეტი) ერთად კვლევის შედეგების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში;
- 2.3. ფაკულტეტის სამართლის პროგრამების განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- 2.4. ფაკულტეტის სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარება;
- 2.5. კვლევებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა და წახალისება;
- 2.6. კვლევების შედეგების პოპულარიზაციის მიზნით კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებთან და პარტნიორებთან;
- 2.7. ფაკულტეტთან ერთად უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევართა საერთაშორისო საგანმანათლებლო და აკადემიური განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტების განხორციელება (გაცვლითი პროგრამები, გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, წამყვანი სპეციალისტების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ.);
- 2.8. საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების ორგანიზება;
- 2.9. პერიოდული საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის გამოცემის ორგანიზება;
- 2.10. პოპულარული უცხოური პუბლიკაციების მოძიება და მათი თარგმნის შესაძლებლობის დადგენა, თარგმანების ორგანიზება და ხელშეწყობა;
- 2.11. ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტის გამოვლენა და სამეცნიერო კვლევებში ჩართვის ხელშეწყობა;



- 2.13. საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან პროფესიული კონტაქტების დამყარება და განვითარება, აკადემიური პარტნიორობის დამყარება შესაბამის სფეროში მოღვაწე მეცნიერ მკვლევარებს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს შორის;
- 2.14. საერთაშორისო აკადემიური სიმპოზიუმების, კონფერენციების, ფორუმების, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სემინარების, მრგვალი მაგიდების, დებატების ორგანიზება და ჩატარება, უნივერსიტეტის წარმომადგენლობა აღნიშნულ სამეცნიერო აქტივობებში;
- 2.15. საზოგადოების განათლების ამაღლება სამართლებრივი ცნობიერების სფეროში;
- 2.16. სამართლის დარგის განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 3. ინსტიტუტის საქმიანობის ფორმები

წინამდებარე დებულებით მოცემული მიზნების და ამოცანების განხორციელებისთვის ინსტიტუტი:

- 3.1. ატარებს სემინარებს, დისკუსიებს, კონფერენციებს, სასწავლო კურსებს, პრეზენტაციებს, კონკურსებს და სხვადასხვა სახის აქტივობებს;
- 3.2. თანამშრომლობს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან;
- 3.3. მონაწილეობას იღებს პროექტებსა და კონკურსებში, გამოდის პროექტებისა და კონკურსების ინიციატორად;
- 3.4. თანამშრომლობს უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
- 3.5. ახორციელებს უცხოეთიდან მეცნიერ-მკვლევართა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩამოყვანას და ორგანიზებას უწევს ევროპის უნივერსიტეტში მათ მიერ სემინარებზე მოხსენებებისა და ლექციების წაკითხვას;
- 3.6. გამოსცემს სამართლის პრობლემატიკაზე სამეცნიერო ჟურნალს და თემატურ კრებულებს, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით;
- 3.7. ახდენს სამართლის პრობლემატიკაზე უცხოური სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნას და გამოცემას;
- 3.8. ეხმარება უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს ჩაერთონ მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით, ასევე კვლევით საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებში;
- 3.9. ახორციელებს იურიდიულ საკონსულტაციო მომსახურებას, გამოდის სასამართლოში ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესების დასაცავად;
- 3.10. ეწევა სხვა სასწავლო, საკონსულტაციო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.



მუხლი 4. ინსტიტუტის სტრუქტურა

ინსტიტუტი შედგება ინსტიტუტის ხელმძღვანელის (დირექტორის), სამეცნიერო და დამხმარე პერსონალისაგან;

4.1. ინსტიტუტის დირექტორი:

- ა) ხელმძღვანელობს ინსტიტუტს და წარმოადგენს მას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის გარეთ;
- ბ) გამოსცემს ბრძანებებს, ქმნის კომისიებს, ხელს აწერს ყველა ოფიციალურ დოკუმენტს ინსტიტუტის საქმიანობის ფარგლებში;
- გ) განსაზღვრავს ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებებსა და ფორმებს;
- დ) ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურასა და ბიუჯეტს;
- ე) ახორციელებს ინსტიტუტის სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის შერჩევასა და დანიშვნას;
- ვ) ჩართულია სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, როგორც სამეცნიერო პერსონალი და კვლევითი პროცესების ხელმძღვანელი.
- ზ) თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი იმავდროულად ითვლება მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე დანიშნულად.

4.2. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი

ა) ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი შედგება შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირებისაგან:

- მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
- მეცნიერი თანამშრომელი.

ბ) ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალად შეიძლება დანიშნულ იქნას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც უნივერსიტეტში არ უჭირავს აკადემიური თანამდებობა. ამასთან უნივერსიტეტის გარედან მოწვეული სამეცნიერო პერსონალის რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს სამეცნიერო პერსონალის მთლიანი რიცხოვნობის 40%.

გ) მთავარ მეცნიერ თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

დ) უფროს მეცნიერ თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

ე) მეცნიერ თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს დოქტორანტი, ასევე პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.



4.3. მეცნიერის უფლებები

მეცნიერს უფლება აქვს:

- ა) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს დაფინანსების მოსაპოვებლად საგრანტო კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში;
- დ) წარმართოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული იქნება ინსტიტუტის ამოცანების შესრულებასთან.

4.4. მეცნიერის ვალდებულებები

- ა) მეცნიერი ვალდებულია დაიცვას სამეცნიერო კვლევის ეთიკა და კეთილსინდირების ნორმები;
- ბ) არ განახორციელოს ინსტიტუტის დირექტორის თანხმობის გარეშე, ინსტიტუტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგებს რაიმე ფორმით ინსტიტუტის გარეთ გამოყენება;
- ბ) ინსტიტუტის დირექტორის თანხმობის შემდეგ ინსტიტუტში განხორციელებული კვლევის შედეგების პუბლიკაციისას მიუთითოს ინსტიტუტის დასახელება;
- გ) თავის კვლევებში დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით და ინსტიტუტის დებულებით დადგენილი მოთხოვნები;
- დ) ყოველი წლის დასაწყისში წარადგინოს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე წინა წლის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ანგარიში.

4.5. ინსტიტუტის დამხმარე პერსონალი

ინსტიტუტის დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს ინსტიტუტის ორგანიზაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას.

მუხლი 5. ანაზღაურება

5.1. ინსტიტუტის დირექტორს, ისევე როგორც ინსტიტუტის სხვა პერსონალს შესაძლებელია მიეცეს ინდივიდუალური ანაზღაურება;

5.2. ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს განსაზღვრავს ინსტიტუტის დირექტორი უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით.

მუხლის 6. ინსტიტუტის დაფინანსება

ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:

6.1. ინსტიტუტის საბაზო და პროგრამული დაფინანსება, განხორციელებული უნივერსიტეტის მიერ;



- 6.2. სხვადასხვა ფონდებიდან მოძიებული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;
- 6.3. სპონსორთა საქველმოქმედო თანხები, ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებიდან მიღებული შემოსავალი (ჰონორარი) და საგამომცემლო საქმიანობით მიღებული თანხები.
- 6.4. სხვა შემოსავლები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ დებულებას და საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 7. სხვა დებულებები

- 7.1. ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით.
- 7.2. ინსტიტუტის ლიკვიდაციის (საქმიანობის შეწყვეტის) შემდეგ მისი ქონება რჩება უნივერსიტეტს, თუ ინსტიტუტსა და მის დამფინანსებლებს შორის შეთანხმებით ან შესაბამისი პროექტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.